

შპს „ექიმ ბუბნოვსკის ცენტრი“

ს/კ 405067804

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის

დამტკიცების თარიღი: 03/10/2022

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	8-17

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს "ექიმ ბუბნოვსკის ცენტრი"-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალის სხვა ჯამური შემოსავლის ანგარიშს, ფულადი ნაკადების ანგარიშს და კაპიტალის ცვლილების ანგარიშს ამ თარიღისთვის დასრულებული წლისათვის და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის და სხვა განმარტებითი ინფორმაციის („ფინანსური ანგარიშგები“) შეჯამებას. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგები მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("მსს ფასს") მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 1.მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- 2.გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- 3.განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით;

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- 1.კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- 2.ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- 3.სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 3 ოქტომბერს.

დირექტორი: /ანნა კულიკოვა/

ბუღალტერი: /თამარ წიკლაური/


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერი

(ლარი)

	შენიშვნები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი აქტივები			
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება	12	112,645	74,221
არამატერიალური აქტივები	12	4,120	3,644
გრძელვადიანი მოთხოვნები		710,000	710,000
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		826,765	787,865
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	13	2,802	2,802
მოკლევადიანი მოთხოვნები	10	-	-
გაცემული ავანსები	11	8,393	8,393
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	435,757	221,453
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
წინასწარ გადახდილი საგადასახადო ვალდებულება		-	-
მთლიანი მიმდინარე აქტივები		446,952	232,648
სულ აქტივები		1,273,717	1,020,513
ვალდებულება და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები	14	4,880	10,483
მიღებული ავანსები		12,400	-
სხვა ვალდებულებები		20	20
საგადასახადო ვალდებულებები		23,613	53,701
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		40,913	64,204
მთლიანი ვალდებულებები		40,913	64,204
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		407,918	828,354
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		824,886	127,955
დაუფარავი ზარალი		-	-
სარეზერვო კაპიტალი		-	-
მთლიანი კაპიტალი		1,232,804	956,309
მთლიანი ვალდებულება და კაპიტალი		1,273,717	1,020,513

დირექტორი: /ანნა კულიკოვა/

ბუღალტერი: /თამარ წიკლაური/



მოგება-ზარალი და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი მომსახურებიდან	17	2,676,004	1,132,887
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	18	(397,618)	(189,916)
ცვეთის ხარჯი		(41,518)	(25,971)
შრომის ანაზღაურება		(742,474)	(319,075)
გაწეული მომსახურების თვითღირებულება		(443,361)	(143,987)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		1,051,033	453,938
რისკიანი მოთხოვნების ხარჯები		-	-
კურსთაშორის სხვაობა		-	-
საპროცენტო ხარჯი		-	-
ფინანსური ხარჯი		-	-
საპროცენტო შემოსავალი		-	-
ფინანსური შემოსავალი		-	-
შედეგი ფინანსური საქმიანობიდან		-	-
სხვა შემოსავალი		21,875	23,317
სხვა ხარჯები		(151,248)	(349,301)
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		921,660	127,955
მოგების გადასახადი		(96,775)	-
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		824,886	127,955

დირექტორი:

/ანნა კულიკოვა/

ბუღალტერი:

/თამარ წიკლაური/

A. Kuliakova

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერი


	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალი	რეზერვები და დაფინანსება	სულ
31 დეკემბერი, 2019	-	828,354	-	-	828,354
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-	-
მოგება წლის განმავლობაში	-	-	127,955	-	127,955
გაუნაწილებელი მოგება	-	127,955	(127,955)	-	-
საწესდებო კაპიტალი	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2020	-	956,309	-	-	956,309
გაცემული დივიდენდი	-	(548,390)	-	-	(548,390)
მოგება წლის განმავლობაში	-	-	824,886	-	824,886
გაუნაწილებელი მოგება	-	824,886	(824,886)	-	-
საწესდებო კაპიტალი	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2021	-	1,232,805	-	-	1,232,805

დირექტორი:

/ანნა კულიკოვა/

ბუღალტერი:

/თამარ წიკლაური/

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერი

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	2,700,730	1,139,467
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(1,438,971)	(893,707)
გადახდილი გადასახადები	(440,314)	(90,956)
სხვა	(5,752)	(573)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	815,692	154,231
საინვესტიციო საქმიანობები		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(80,418)	(1,218)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(80,418)	(1,218)
დამფუძნებლის შენატანის უკან დაბრუნება	-	-
დივიდენდის განაწილება	(520,970)	-
სესხები	-	-
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(520,970)	-
კურსთაშორის სხვაობის შედეგი	-	-
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	214,304	153,013
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	221,453	68,440
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	435,757	221,453

დირექტორი: /ანნა კულიკოვა/

ბუღალტერი: /თამარ წიკლაური/




ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი ოპერაციები:

შპს „ექიმ ბუბნოვსკის ცენტრი“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2014 წლის 21 ოქტომბერს და მდებარეობს საქართველოში. „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად. მისი რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მ.კოსტავას ქ., N 74, ბ. 66


საიდენტიფიკაციო კოდი: 405067804

„კომპანიის“ დირექტორია ქალბატონი ანა კულიკოვა 73 3340166 /რუსეთის ფედერაცია/, ხოლო 100%-იანი წილის მმართველია ბატონი კონსტანტინე პავლენკო, 19830227-00239, FA083593 /უკრაინა/

შპს „ექიმ ბუბნოვსკის ცენტრი“ არის სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრი და მისი ძირითადი საქმიანობაა: ხერხემლის დაავადებების მკურნალობა ქირურგიული ჩარევისა და მედიკამენტების ნაცვლად, კინეზოთერაპიის მეთოდით.

2. ურთიერთდამოკიდებული პირები:

შპს „ექიმ ბუბნოვსკის ცენტრი“-ს ურთიერთდამოკიდებულ პირებთან არ უფიქსირდება ოპერაციები.



3. მომზადების საფუძველი:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს „კომპანიის“ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირველადი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ორისი“. პროგრამაში უზრუნველყოფილია ოპერაციების სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით.

სააღრიცხო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ კომპანიის პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

4. სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა:

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“ „GEL“), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების



დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებები. კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აისახება როგორც ფინანსური შემოსავლები და ხარჯები.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანგარიშგებაში გამოყენებულია შემდეგი კურსები: აშშ დოლარი - 3.0976, ევრო - 3.5040.

5. საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად:

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

-აქტივი მოკლევადიანია, როდესაც: მოსალოდნელია მისი გამოყენება ან რეალიზება 1 საანგარიშო წელზე ნაკლებ ვადაში და მისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.



-გრძელვადიანია აქტივი, რომლის გამოყენებაც მოსალოდნელია 1 საანაგრიშო წელზე მეტი ვადით და მისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

-ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

7. შეფასების და წარდგენის ვალუტა:

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო და წარმოსადგენი ვალუტაა.

8. აქტივები:

კომპანიის გრძელვადიანი აქტივები შედგება ძირითადი საშუალებებისგან, არამატერიალური აქტივებისგან და გრძელვადიანი მოთხოვნებისგან. მიმდინარე აქტივები თავის მხრივ შედგება, ფულის და მათი ეკვივალენტებისგან, სასაქონლო-მატერიალური მარაგებისგან, გადახდილი ავანსებისგან და მოკლევადიანი მოთხოვნებისგან.

9. ფული და ეკვივალენტები:

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	189,356	161,361
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	246,400	60,092
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0	-
სულ	435,757	221,453



10. მოკლევადიანი მოთხოვნები:


სავაჭრო და სხვა დებიტურული დავალიანება გროვდება როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით.

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	-
სულ	-	-

11. გადახდილი ავანსები:

კომპანიის გადახდილი ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის და მომსახურების შესყიდვის მიზნით, ასევე ზედმეტობას საგადასახადო ორგანოსთან.

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
გაცემული ავანსები	8,393	8,393
სულ	8,393	8,393



12. ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება


ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღირიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშებში მისი მოხდენისთანავე.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას, ან ისეთ




სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

ძირითადი საშუალებების აღიარება შეწყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის და ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	არამატერიალური აქტივები	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>					
დეკემბერი 31, 2020	7,631	167,865	4,332	3,644	183,472
მატება	3,990	75,953	-	475	80,418
კლება	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2021	11,621	243,818	4,332	4,120	263,891
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>					
დეკემბერი 31, 2020	(2,289)	(100,719)	(2,599)	-	(105,608)
მიმდინარე წლის ცვეთა ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	(1,002)	(39,649)	(866)	-	(41,518)
	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2021	(3,292)	(140,368)	(3,466)	-	(147,126)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>					
დეკემბერი 31, 2020	5,342	67,146	1,733	3,644	77,865
დეკემბერი 31, 2021	8,329	103,450	866	4,120	116,765



13. სასაქონლო-მატერიალური მარაგები:

წინამდებარე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებს. შეძენის დანახარჯები მოიცავს: შეძენის (ნასყიდობის) ფასს; საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსათვის დასაბრუნებელი გადასახადებისა); სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯები და სხვა პირდაპირი ხარჯები აღიარდება დამოუკიდებლად როგორც ხარჯი.

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
ნედლეული და მასალები	2,690	2,690
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	112	112
სულ	2,802	2,802

14. მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ან აქვს აღებული ვალდებულება შეასრულოს თავის მოვალეობებს საქონლის მოწოდებას ან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, კომპანიას კრედიტორული დავალიანებებს წარმოადგენს: მოკლევადიან ვალდებულებებს წარმოშობილი საქონლის მოწოდებასთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით, გადასახდელი შრომის ანაზღაურებას, ასევე მიღებულ ავანსებს.

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	4,880	10,483
სულ	4,880	10,483



A. Kyamashvili

15. გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანია ყველა ის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადაც აღემატება 1 წელს და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გადინება საწარმოდან.

16. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი:


2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აკუმულირებული მოგება შეადგენს 956,309 ლარს. 2021 საანგარიშო წელს მოგებამ შეადგინა 824,886 ლარი, ასევე გაიცა დივიდენდი 548,390 ლარის ოდენობით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აკუმულირებული მოგების საბოლოო ნაშთი შეადგენს 1,232,804 ლარს.

17. შემოსავლის აღიარება:

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანია საქონლის/მომსახურების გაყიდვის შედეგად მიღებულ ამონაგებს აღიარებს, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს. შემოსავალში გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

არასაოპერაციო შემოსავალი

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	21,875	23,317
სულ	21 875	23 317

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
რეალიზაცია ჩეკით	1,076,713	449,054
ფიზიკური პირები	1,599,291	683,833
სულ	2,676,004	1,132,887

18. ხარჯის აღიარება:

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
შრომის ანაზღაურება	(1,185,835)	(463,062)
დამოუკიდებელი ანგარიში	(127,348)	(58,901)
საიჯარო ქირა	(261,997)	(131,015)
კომუნიკაციის ხარჯები	(8,273)	-
სულ	(1,583,453)	(652,977)

19. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები:

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. (ასეთის არსებობის შემთხვევაში). 2021 წლის საანგარიშო პერიოდის ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიაში არ ქონია ადგილი ისეთ მოვლენებს რაც საჭიროებს ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის კორექტირებას ან შენიშვნებში მათ ასახვას.

დირექტორი:

/ანნა კულიკოვა/

ბუღალტერი:

/თამარ წიკლაური/